კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ჟურნალისტიკა (Journalism)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში Magister of Social Sciences in Journalism
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	გრიგოლ ქობალიანი-სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი T:577 970 264; e-mail: g.khobaliani@atsu.edu.ge
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში.

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია რეგიონული ჟურნალისტიკის განვითარებაზე, რეგიონში არსებულ მედიასაშუალებებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატდამთავრებულთათვის. შესაბამისად, პროგრამის მიზანია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს და გამოუმუშაოს ჟურნალისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მოამზადოს როგორც მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, რაც ქართულ მედიას და განსაკუთრებით იმერეთის რეგიონულ მედიას, შემატებს განათლებულ, პროფესიული ჩვევების თვალსაზრისით კარგად მომზადებულ, კონკურენტუნარიან კადრს.

შემოთავაზებულიპროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- მაგისტრების მომზადება ჟურნალისტიკის სპეციალიზაციით; მათი ცოდნის გაღრმავება და გამდიდრება თანამედროვე უცხოური და ქართული ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.
- მაგისტრები შეისწავლიან ჟურნალისტიკის მენეჯმენტს, თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ყოფის აქტუალურ საკითხებს, მოვლენების ანალიზის ფორმებსა და საკითხისადმი პროფესიული მიდგომის მეთოდებს.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ცოდნა და გაცნობიერება	ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების შესახებ, როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან. აცნობიერებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; მედიისა და მედიამკვლევარის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებაში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ტექსტის სტრუქტურირება, მიზნის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის ტექსტის შექმნა; • შემოქმედებით მუშაობა სხვადასხვა ფორმებით-წერილობით, ზეპირი, ხმასთან და გამოსახულებასთან; • დამოუკიდებლი და გუნდური მუშაობა კვლევების წარმოებისას;

	• მედიის სხვადასხვა სახის დასაფუძნებლად განახორციელოს კვლევითი პროექტების და მედიისა და კომუნიკაციის სფეროში პროექტების დამოუკიდებლად მართვა; • ანალიტიკური მასალის მომზადება და მედიაკრიტიკა; • საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მართვა, მედიაკამპანიის დაგეგმვა და განხორციელება; • შეუძლია წარმატებული სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა; • ვებტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტრადიოს, ინტერნეტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა და ჟურნალის დაფუძნება.
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; აქვს დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოისახება პრობლემების და ამოცანების შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გამოყენებაში.
კომუნიკაციის უნარი	• რესპონდენტებთან კორექტული უთიერთობების დამყარება; • დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის მიღება; • არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და ეფექურად გამოხატვა; • კრიტიკული აზრის საფუძვლიანად გამოთქმა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება
სწავლის უნარი	შეუძლია სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება; საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება; პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა; აქვს ლიტერატურაზე სიღრმისეული მუშაობის ჩვევები; შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.
ღირებულებები	პროგრამის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება პროფესიული შეგნება და თვითშეგნება, ობიექტურობა და პრინციპულობა; პრაქტიკულ მუშაობაში მაგისტრები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დაცვა.

სწავლების მეთოდები

სწავლის ფორმები - ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, მიზნობრივი წერითი ნაშრომი, პროექტი, კონსულტაცია და პროფესიული პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები - დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),ევრისტიკული, შემთხვევების შესწავლა(ქეისები), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამა შედგება ძირითადი და დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსებისაგან. ძირითადი პროგრამით გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, თავისუფალი კრედიტები.

სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- **სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*-30 ქულა;**
- **შუალედური გამოცდა- 30 ქულა;**
- **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.**

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 18 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

<u>შენიშვნა:</u> შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:
<u>საფუძველი:</u> საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმებიგანისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ნებისმიერი სახის მედიაორგანიზაციაში (მათ შორის ინტერნეტმედიაშიც).

უკანასკნელ თვეებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქუთაისში რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტის გადმოტანა ზრდის (მათ შორის პარლამენტი, კონტროლის პალატა, მარეგულირებელი კომისია, საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, აშენდა მთავრობის სახლი) რეგიონულ მედიაში კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივას.

სამაგისტრო პროგრამა ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ბაზრის ათვისებისათვის მნიშვნელოვანია.
მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელე-რადიოკომპანიებში, საინფორმაციო სააგენტოებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებში, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხის, ასევე ტელეკომპანიების „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“ და „რუსთავი 2“-ის ფილიალების დაარსება ქუთაისში წარმოქნის ახალ სამუშაო ადგილებს. გარდა ამისა, მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე-დოქტორანტურაში.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელიადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი. მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის: ასოცირებული პროფესორი - 10 **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:** ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-სსასწავლო კორპუსები (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, № 1 სასწავლო კორპუსი, აუდიტორიები და ლაბორატორია. ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები, აწსუ „პროფესიული წვრთნის, გადამზადებისა და უწყვეტი განათლების“ სასწავლო ცენტრში არსებული ტექნიკა, სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები.

სასწავლოგეგმა 2020-2022
პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში

დანართი1

№	საგნისდასახელება	სკ	ლ/პრ/ლაბ/გ	კრედიტი	კრედიტებისგანაწილება			
					სემესტრი			
	სავალდებულო სასწავლო კურსები				I	II	III	IV
1	სოციოლოგიური კვლევები	3	15/30/0/3	5	5			
2	სამოქალაქო ჟურნალისტიკა	3	15/30/0/3	5	5			
3	მედია კვლევები	3	15/30/0/3	5	5			
4	ვერბალური კომუნიკაცია	3	15/30/0/3	5	5			
5	პიარკამპანიის მენეჯმენტი	3	15/30/0/3	5	5			
6	ჟურნალისტიკა და პოლიტიკა	3	15/30/0/3	5		5		
7	პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია	3	15/30/0/3	5		5		
8	სამაუწყებლო ახალი ამბები	3	15/30/0/3	5		5		
9	რეპორტაჟი და ინტერვიუს ტექნიკა	3	15/30/0/3	5		5		
10	პრაქტიკა 1- ტელერეპორტაჟის მომზადება	3	15/30/0/3	5		5		
11	თანამედროვე მედიის მენეჯმენტი	3	15/30/0/3	5			5	
12	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	3	15/30/0/3	5			5	
13	სოციალური საკითხების გაშუქება	3	15/30/0/3	5			5	
14	სარეკლამო კომუნიკაცია და ტექნოლოგია	3	15/30/0/3	5			5	
15	პრაქტიკა 2 - რადიო-ანალიტიკური გადაცემა	3	15/30/0/3	5			5	
16	სამაგისტრო ნაშრომი			30				30
	არჩევითი საგნები							
	თავისუფალი კრედიტები (15კრედიტი)[1]	15	-	5	5	5	5	
	სულ			120				

[1]თითოეულ სემესტრში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთი ხუთკრედიტიანი საგანი უნივერსიტეტის ნებისმიერი პროგრამიდან.